პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 157 (20198) — ოთხშაბათი, 6 ივლისი, 1988 წელი. — ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ДЕЛЕГАТИ САЗВАРМОШИ ДАБРУНДА

სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის რეზოლუცია

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობისა და გარდაქმნის გაღრმავების ამოცანათა შესახებ

1. XIX საკავშირო პარტიული კონფერენცია, რომელმაც გაანიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობა და გარდაქმნის გაღრმავების ამოცანები", აგრეთვე მეთორმეტე ხუთწლიანის ძირითადი შედეგები, აღნიშნავს: სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმსა და პარტიის XXVII ყრილობაზე პარტიის მიერ შემუშავებული საბჭოთა საზოგადოების ყოვლისმხრივი და რევოლუციური განახლებისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისთვის გამიზნული სტრატეგიული კურსი ხორციელდება. შეჩერებულია ქვეყნის დაქანება ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური კრიზისისაკენ.

გარდაქმნის იდეებისა და საქმეების ზემოქმედებით მიმდინარეობს საზოგადოების კონსოლიდაცია, მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის შემოქმედებითი ენერგიის ღიმენლობა. ადამიანებმა იწამეს გარდაქმნა და მხარს უჭერენ მის გაღრმავებას, იმას, რომ რევოლუციურ გარდაქმნებს შეუქცევადი ხასიათი მიენიჭოს.

დემოკრატიზაციამ და საჯაროობამ ძირფესვიანად შეცვალა იდეურ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი ატმოსფერო.

დაიწყო ქვეყნის ეკონომიკის განჯანსაღების პროცესი, მისი შემობრუნება ადამიანთა საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ. ძალას იკრებს მეურნეობრიობის ახალი მეთოდები. სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის შესაბამისად გაერთიანებები და საწარმოები გადადიან სამეურნეო ანგარიშსა და თვითნაზღაურებაზე. შემუშავებული, ფართოდ განხილული და მიღებული კანონი კოოპერაციის შესახებ. ცხოვრებაში მკვიდრდება შიდასაწარმოო შრომითი ურთიერთობა ახალი, პროგრესული ფორმების იყარისა და ნარდად მუშაობის საფუძველზე, აგრეთვე ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა. მიმდინარეობს მარეგის ორგანიზაციული სტრუქტურების გარდაქმნა, რომელთა მიზანია შეიქმნას ხელშეწყობი პირობები ეკონომიკის პირველადი რგოლების ეფექტიანი მეურნეობრიობისათვის.

პარტიის ინიციატივით გაშლილმა მუშაობამ საშუალება მოგვცა გავეანალიზებინა მშრომელთა რეალური შემოსავლის ზრდა. ხორციელდება სასურსათო პრიორიტეტებისა და მოხმარების საგნების წარმოების ზრდის, საბინაო მშენებლობის გაფართოების პრაქტიკული ღონისძიებანი. ხორციელდება განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის რეფორმები. სულიერი ცხოვრება ქვეყნის პროგრესის მძლავრი ფაქტორი ხდება.

მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული მსოფლიო განვითარების თანამედროვე რეალობათა ხელახლა გააზრებისათვის, საგარეო პოლიტიკის განახლებისა და მისთვის ღირსშესაფერი მინიჭებისათვის.

ამრიგად, გარდაქმნა სულ უფრო ღრმად იკიდებს ფეხს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში, სულ უფრო მზარდ გარდამქმნელ ზემოქმედებას ახდენს მასზე.

ამავე დროს კონფერენცია აღნიშნავს, რომ გარდაქმნის პროცესები მძიმედნარეობს წინააღმდეგობრივად, რთულად, ძნელად, ძველსა და ახლის ბრძოლაში. და თუმცა არის პოზიტიური ტენდენციები, პირველი შედეგები, მაგრამ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ველზე განვითარებაში ძირეული გარდატეხა არ მომხდარა. დამუხრუჭების მექანიზმი ჯერ კიდევ მთლიანად არ არის დაშლილი და არ შეცვლილა დაჩქარების მექანიზმით. ეკონომიკა მრავალი თვალსაზრისით კვლავაც ექსტენსიური გზით მოძრაობს. მთლიანი მაჩვენებლების, მოცულობითი მიდგომების ზეგავლენა არ დაძლეულა.

ეკონომიკის სტრუქტურა ძირითადად ინარჩუნებს ხარჯვითს ხასიათს. ნელა ვითარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, არ სრულდება ეროვნული შემოსავლის მატებისა და რესურსდაზოგვის გეგმები. საგრძნობლად ვერ გაუმჯობესებულა პროდუქციის ხარისხი. კვლავ რთულია ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა. არის დაძაბულობა სურსათთან, სახალხო მოხმარების საქონლით მომარაგებაში, არ კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილება მომსახურებაზე. კვლავ მწვავედ დგას სანიაღვრე პრობლემა.

საზოგადოების დემოკრატიზაციასთან ერთად რადიკალური ეკონომიკური რეფორმა მთელი ჩვენი გარდაქმნის საფუძველია. რეფორმა ახლა ახალ სტადიას იძენს პოლიტიკური სისტემის გარდაქმნისაგან. იგი ძირითადად უნდა დამთავრდეს მომდინარე ხუთწლედის ფარგლებში. ამაზე, თავის მხრივ, დამოკიდებულია პოლიტიკური სისტემის დასახული რეკონსტრუქციის ტემპი და წარმატებაც. ამავე დროს ახალი ეკონომიკური მექანიზმი, რომელსაც ვამკვიდრებთ, ზოგჯერ ამის გამო ბუქსაობს, რომ ცენტრალურ უწყებებში სათანადოდ არ სრულდება პარტიისა და მთავრობის შესაბამისი დადგენილებანი. ეკონომიკის ინტენსიური განვითარების სტრიოზული დაბრკოლება კვლავ არის გათანაბრება და სხვისი მოიმედეობა. ვლინდება ზოზინი მეურნეობრიობის კოოპერაციული, სიიჯარო და სანარდო ფორმების ფართო გავრცელებისათვის პირობების შექმნაში.

გარდაქმნის პროცესებზე შემაფერხებელ გავლენას ახდენს უძრაობის ძმიმე მემკვიდრეობა. მაგრამ მარტო ამით ვერ აიხსნება, რომ ნელა ხორციელდება დასახული გარდაქმნები. ბევრი რამის მიზეზია ის, რომ ნაკლოვანებებია პარტიული, სახელმწიფო, სამეურნეო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ახალნდელ მუშაობაში. არ არის სათანადო სიმტკიცე და მიზანდასახულობა სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. ხელმძღვანელობის ახალი დემოკრატიული მეთოდები, კარგახსნილობა და საჯაროობა ძნელად იკვალავს გზას, კონსერვატიზმსა და ინერტულობას, აზროვნებისა და მოქმედების დოგმატიზმს აწყდება. საზოგადოების სხვადასხვა რგოლში, მათ შორის შრომითს კოლექტივებში, ჯეროვნად არ შეცვლილა თვით დამოკიდებულება შრომისადმი, საქმისადმი. საკუთარ მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება ჯერაც ვერ გამხდარა ნორმა. გარდაქმნის მოთხოვნების ვერ აკმაყოფილებს შრომის დისციპლინის დონე. ყოველივე ეს გაგლენას ახდენს მუშაობის საბოლოო შედეგებზე.

საზოგადოებრივი, სახელმწიფო და სამეურნეო საქმიანობის ყველა საფეხურზე ჯერ კიდევ ბევრია ისეთი მუშაკი, რომლებსაც არ სურთ შეელიონ ან უნარი არ შესწევთ დათმონ მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდები, მტკივნეულად ალიკვამენ ახალს. ბევრია ისეთიც, ვისაც აშინებს გარდაქმნის მასშტაბი და სიღრმე, ვინც ამჯობინებს შეჩერდეს ნახევარ გზაზე, შეზღუდოს გარდაქმნის რეგოლუციური შინაარსი სანახევრო ღონისძიებებით. ამავე დროს არის ცდები ხელოვნურად უბიძგონ მოვლენების მსვლელობას, გადაახტეს ეტაპებს, გაისმის მოწოდებები ყველაფერი გადაწყდეს ერთი ხელის მოსმით, ობიექტური წინამძღოლების არსებობისა და საზოგადოებრივი შეგნების დონის. გაუთვალისწინებლად.

ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემისათვის დაშახასიათებელი მართვის ბიუროკრატიული მეთოდების დაძლევის მიზნით. კონფერენცია მტკიცედ უჭერს მხარს სამინისტროებისა და სხვა ცენტრალური უწყებების ფუნქციებისა და მუშაობის სტილის გარდაქმნის, ზედმეტი რგოლების ლიკვიდაციისა და ადგილებზე მათი უფლებების გადაცემის, აპარატის არსებითი შემცირებისა და მასში დასაქმებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლების კურსს. დაუშვებელია დიდი ხნით ამ საქმის გაჭიანურება.

გარდაქმნის ამოცანებს ჩამორჩება მრავალი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა, რომელებმაც დროულად და სწორად ვერ შეაფასეს დამუხრუჭების მიზეზები, მომლოდინე პოზიციის ადგანან, გაუბედაობას იჩენენ ძველთან ბრძოლაში და საქმიანობის ახალი ფორმებისა და მეთოდების ათვისებაში.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ გარდაქმნას სჭირდება შემდგომი გაღრმავება და მისი შეუქცევადობის. სიმყიდო გარანტიები. კონფერენცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გარდაქმნა სოციალიზმის გამტკიცებისა და განვითარების, ხალხის საეთილდღეოდ საზოგადოებრივი განვითარების მომწიფებული პრობლემების გადაჭრის ერთადერთი შესაძლო გზაა. ამ გზით უნდა ვიაროთ გულდაჯერებით და მტკიცედ, ამასთან გამძლეობა გამოვიჩინოთ და რეალისტურად გამოვიყენოთ ყოველი მოცემული ეტაპის შესაძლებლობანი.

კონფერენციას მიაჩნია, რომ დღეს პირველ პლანზე წამოწეულია პოლიტიკური სისტემის კარდინალური რეფორმა. სწორედ მან უნდა დასახოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში გარდაქმნის გაღრმავების ახალი შესაძლებლობანი და უზრუნველყოს მისი შეუქცევადობის გარანტიები.

2. სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ხალხის კეთილდღეობის საკმარობოლტო პრობლემების დაჩქარებული გადაჭრა.

უწინარესად უნდა მივაღწიოთ ქვეყნის სასურსათო მომარაგების არსებითს გაუმჯობესებას. ეს უდიდესი სოციალურ-პოლიტიკური საკითხია. მისი გადაჭრის უმოკლესი გზაა იყარისა და ნარდის სხვადასხვა ფორმის განვითარება, როგორც არსებული მეურნეობების ფარგლებში, ისე სხვა საწარმოებთან და ეკონომიკის დარგებთან ურთიერთობაში კოოპერატივების ფართო ქსელის შექმნის საფუძველზე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პოტენციალის ყოველი ღონისძიებით გამოყენენა. საჭიროა განვაზორციელოთ გადაუდებელი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ტრანსპორტირების, გადამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის გაუმჯობესებისათვის, ეფექტიანად გამოიყენოთ ამ დარგების საწარმოთა ტექნიკური განახლებისა და მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრები.

კონფერენციას მიაჩნია, რომ ამჟამად ქვეყანაში მომწიფდა საჭირო პირობები იმისათვის, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ყველგან გადავიდნენ მეურნეობრიობის ახალ პრინციპებზე, და ყველა დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის ამას, — ადგილებზეც და ცენტრშიც — უნდა დაძლიოთ. ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ უშუალოდ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს, სოფლის კომუნისტებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოებს.

დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი მბრძანებლობის ყოველგვარი ცდები. მათ უნარი შესწევთ დამოუკიდებლად გადაჭრან შედასამეურნეო საქმიანობის საკითხები, განსაზღვრონ სამეურნეოგათაშორისო კავშირურთიერთობისა და საწარმოო მომსახურების ფორმები. თანამედროვე აგრარული პოლიტიკის ძირეული საკითხებია სოფლის სოციალური გარდაქმნა, სოფლად შრომისა და ცხოვრების პირობების

(დასასრული 30-ე გვ.)

ვერა ქემაშვილის სახელი ცნობილია არამარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ კავშირშიც. იგი სოციალისტური შრომის გმირია, სკკპ XXVII ყრილობისა და XIX საკავშირო კონფერენციის დელეგატი.

— მაგრამ ასეთი გულახდილობა, — ამბობს ვერა ქემაშვილი — საქმისადმი განსაკუთრებული კომპლექსური დამოკიდებულება, რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელებისათვის პრინციპიული მსჯელობა პირველად მოვისმინე და ვნახე. საწარმოში დავბრუნდი სავსე შთაბეჭდილებით, ამ განწყობით, რომ ჩემს ბრიგადაში დავწერგო სიახლე, კიდევ უფრო განვამტკიცო დისციპლინა, მხარში ამოვუდგე კომბინატის ხელმძღვანელობას, მთელ კოლექტივს ყველა ამ საკითხის გადაწყვეტაში, რაც მათ წინაშე წამოიჭრება. დღეს სხვანაირად შეუძლებელია. ყველამ ერთად და თითოეულმა, ცალცალკე უნდა ვაკეთოთ საქმე, რომელიც მშობლიურ საწარმოს, ხალხს გამოადგება.

ბრიგადა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, მუდამ მოწინავეთა რიგებშია და კვლავაც ყველაფერს გავაკეთებთ პარტიის მოწოდებასთან ცხოვრებაში განსახორციელებლად.

სურათზე: ვ. ქემაშვილი თავისი ბრიგადის წევრებთან.

თ. ნიკოლაიშვილის („კომუნისტი") ფოტო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 4 ივლისს გამართულ სხდომაზე განხილა XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულებისთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. აღინიშნა, რომ კონფერენცია დიდი მოვლენა გახდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცხოვრებაში საბჭოთა საზოგადოების რევოლუციური განახლებისათვის, გარდაქმნის თეორიისა და პრაქტიკის გაღრმავების, რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელებისა და საზოგადოების დემოკრატიზაციისათვის გამიზნული პარტიის გეზის თანამიმდევრულ გატარებაში.

კონფერენციის დოკუმენტებში დასახულ ღონისძიებათა, მისი დელეგატების წინადადებათა და შენიშვნათა პრაქტიკული რეალიზაციის საკითხების განსახილველად პოლიტბიუროს საჭიროდ ცნო ამა წლის იულისის დამლევს მოიწვიოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. მიეცათ დავალება, რომ პლენუმისათვის მოამზადონ პოლიტიკური სისტემის რეფორმის გამზადებელთასა, პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციისთვის გამიზნული ნინადადებანი.

ამსჯელეს ნ. ი. რიჟკოვს, ვ. ა. ნიკონოვს, ა. დ. მასლიუკოვს, ვ. ს. მურახოვსკის დაეკალთ შესაბამისი ცენტრალური, რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების, სამეცნიერო ორგანიზაციების მონაწილეობით მოამზადონ დამატებითი ღონისძიებანი — როგორც პირველი რიგის, ისე პერსპექტიული ხასიათისა — სასურსათო საქონლის წარმოების გაზრდისა და მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესებისათვის. პოლიტბიუროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორგანიზებულად ავიღოთ მომდინარე წლის მოსავალი ქვეყნის მთელ ოდენ რეგიონებში ამინდის პირობების გართულების გათვალისწინებით.

ამსჯეს ე. ნ. სლიუნკოვს, ნ.ვ. ტალონინს, ა. ა. ბორიუკოვს, ი. ს. ბელოუსოვსა და ვ. მ. კაბანცევს წინადადება მიეცათ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელთა მონაწილეობით განხილოონ კონფერენციის დელეგატთა მოსაზრებანი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაზრდის, მოსახლეობის მომსახურების გაფართოებისა და ამ საქმის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებით კონფერენციაზე აღძრული საკითხებს. ამხანაგებს ნ. ი. რიჟკოვს, ი. დ. მასლიუკოვს, ლ. ა. ვორონინს დაეკალთ მთელ ფრონტ მუშაობა დელეგატთა კონკრეტული წინადადებების განხილვისა და ინ ფაქტად ამოქმედებისათვის, რომლებიც ამჟამად ენერგეტიკულ გადაწყვეტილებათა ფაზაში ეტაპობენ.

ამსჯეს ბ. ბატალინს, ი. ს. სილაევს, ლ. ა. ვორონინს დაეკალთ შეისწავლონ პარტიული კონფერენციის დელეგატთა წინადადებანი და შეიმუშაონ ღონისძიებანი ქვეყნის სამშენებლო ინდუსტრიის ბაზის განმტკიცებისათვის, რომელიც საჭიროა სოციალური და საწარმოო პროგრამების შესასრულებლად, განსაკუთრებით სოფლად.

პოლიტბიუროს მიიღო დადგენილება, რომელიც ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებსა და კომუნისტებს — საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებს ავალებს გადაუდებელად გაიკვლევენ ეაჭრობის ორგანიზაციის, მომსახურების კომუნალური მეურნეობის სფეროში და საქალაქო ტრანსპორტზე საქმის ვითარებაში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ აქ საჭიროა დამყარდეს სათანადო წესრიგი, გამოიჩინონ ალრადფიციური საქონლით მომარაგებისა და მომსახურებაში შეფერხებები, უფიზზენო რიგები, რომლებიც მშრომელთა სამართლიან საყვედურებს იწვევენ.

დაეკალთ გამოძებნონ ეაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების მისაწყობად ფართობების გამოყოფის დამატებითი შესაძლებლობანი, უწინარეს ყოვლისა იმ გზით, რომ ამ სფეროებს გადაეცეთ ადმინისტრაციული სამსახურების მიერ დაკავებული შენობები.

პოლიტბიუროს მოკაკშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების, ალმასკომების, აგრეთვე შესაბამისი ცენტრალური უწყებების კომუნისტ-ხელმძღვანელებს დაეკალთ დაამყარონ მკაცრი წესრიგი სასურსათო და სხვა საქონლის ფონდების განაწილებაში, გამორიცხონ ყოველგვარი დარღვევა და ბოროტმოქმედება მათ რეალიზაციაში. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიული კონტროლის კომიტეტმა და სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტმა დღენიადაგ უნდა გაუწიონ კონტროლი ამ მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფას კომკავშირულ, პროფკავშირულ ორგანიზაციებთან და საზოგადოებრიობასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

პოლიტბიუროს მიიღო გადაწყვეტილება გამოიცეს XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის სტენოგრაფიული ანგარიში, რომელიც მასობრივი ტირაჟით გამოვა.

პარტიულ კონფერენციაზე გამოთქმულ წინადადებებთან დაკავშირებით პოლიტბიუროს მიიღო გადაწყვეტილება მოსკოვში აიგოს პიროვნების კულტის წლების უკანონობისა და რეპრესიების მსხვერპლთა ძეგლი.

პოლიტბიუროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ ყველა პარტიული, საბჭოთა, სახელმწიფო ორგანო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია ამოავითვე ალარ უნდა ელოდოს არავითარ მითითებას და ამოქმედდეს დაუხანებლად. შეიდგეს პარტიული კონფერენციის ის გადაწყვეტილებანი რეალიზაციას, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა ადამიანის ყოველდღიურ მოთხოვნილებებთან, მოსახლეობის უპირველეს საჭიროებათა დაკმაყოფილებასთან, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ყოველმხრივ ზრუნვასთან.

პოლიტბიუროს გამოთქვა რწმენა, რომ კონფერენციის გადაწყვეტილებათა რეალიზაციაში აქტიურად ჩაებმება ყველა კომუნისტი, თითოეული შრომითი კოლექტივი, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განხილეს აგრეთვე პარტიული და საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი.

გარდაქმნამ წინ უნდა იაროს

პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებანი ისტორიული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის გზედისათვის

ოთხ დღეს მუშაობდა მოსკოვში სკკპ XIX საკავშირო კონფერენცია. ოთხი დღის განმავლობაში მილიონთა ყურადღება მიპყრობილი იყო კრემლის ყრილობათა სასახლისაკენ, სადაც მიმდინარეობდა დიდი და, შეიძლება თქვას, კარგახსნილობით, გულახდილობით და ბოლშევიკური პრინციპიანობით უპირველესენტო პარტიული სკკპ-ისა ჩვენს აწმყოსა და მომავალზე, იმაზე, თუ როგორ გავხადოთ შეუქცევადი რევოლუციური გარდაქმნა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გაიხალ პარტიის ინიციატივით და ხელმძღვანელობით.

ეს ყურადღება, იმედი და მისწრაფებანი, რომლებიც დაკავშირებული იყო საბჭოთა კომუნისტების ფორუმთან, ამაო არ აღმოჩნდა — კონფერენციამ ლენინური სულისკვეთებით ჩაიარა, იგი გამხვავლული იყო დიდი პასუხისმგებლობით ხალხის წინაშე, რევოლუციის წინაშე. რა თქმა უნდა, საჭიროა დრო, რომ დამთავრებულ სრულად გაიაზრონ კონფერენციაზე გაწეული მუშაობის შინაარსიც და შედეგებიც, მაგრამ უკვე ხავსებით ცხადია: პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში მოხდა მოვლენა, რომელიც ხაეტაპო ნიშანსვეტად დარჩება გარდაქმნის ხაქმეში. უკვე ახლა ცხადია: კონფერენციის მიერ შეუშავებულ და მიღებულ გადაწყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ბედისათვის, ცვლილებათა განუყოფელი შემადგენელი ნაწილი და ამავე დროს მათი მძლავრი დაჩქარებელია.

კონფერენციის მთავარი შედეგი, აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა სამოლო სიტყვაში, ის არის, რომ ყველა ხაკვანძო ხაკითხზე, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების ხაფუძველზე ხალინო ერთო პარტიული, ალრთიანებლივ ალინანებულ ხაგანი იყო, შეეიმუშავეთ ხაერო ალრამიანი პოლიტიკური პოზიცია.

ამასთან კონფერენციამ არა მარტო მოიწონა ცენტრალური კომიტეტის მიერ შემოტანილი წინადადებანი, არამედ ბევრად გამდიდრა ისინი პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების ცოცხალი გამოცდილებით. დელეგატებმა — მუშებისა და კოლმეურნეების, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეების, ხაწარმოოთა ხელმძღვანელებისა და პარტიული მუშაკების გამოხალება იყო ღრმა პასუხისმგებლობით გარდაქმნის ბედისათვის, ხალხისა არნახულად მწვავედ და პრინციპულად ისმენდნა. დისკუსიამ ასახა თვით პოლიტიკური ატმოსფერო, რომელიც ამჟამად მკვიდრდება ქვეყანაში, შემოგვლილისაგან შემოქმედებითა ალრის განთავისუფლება, დემოკრატიული განვითარების დონე, რომელსაც მოვალეობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ განვლილი ხამ წელნი მეტი ხნის განმალლობაზი.

მთავარი ხაკითხი, რომელიც კონფერენციის გაახახლელველად იყო გამოტანილი, ვახდა ჩვენი ხაზოგადოების ცხოვრების ყოველხმომეცელი დემოკრატიზაცია, გარდაქმნის ფრონტის ყოველმხრივ გაფართოება. დაფუძენერდეთ მიღებული რეზოლუციის თვით ხაკითხენერებს: „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობა და გარდაქმნის გაღრმავების ამოცანების შესახებ", „ხაბჭოთა ხაზოგადოების დემოკრატიზაციისა და პოლიტიკური სისტემის რეფორმის შესახებ", „ხიერკოკრატიზმთან ბრძოლის შესახებ", „ეროვნებათშორისი ურთიერთობის შესახებ", „ხაქართველოს შესახებ", „ხამართლებრივი რეფორმის შესახებ", და ბოლოს, რეზოლუცია „ქვეყნის პოლიტიკური სისტემის რეფორმის პრაქტიკული განხორციელების ზოგიერთი გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ", რომელიც თითქმს შეიცავს დასახულ გარდაქმნათა რეალიზაციის „ახალშუშავებელ მექანიზმს". ამრიგად, არსებითად მოცული პარტიისა და ქვეყნის წინაშე მდგომი პრობლემების მთელი კომპლექსი.

კონფერენციის ყურადღების ცენტრში იდგა ხაკითხი პარტიის, როგორც ხაზოგადოების პოლიტიკური ავანგარდის ახალი როლის შესახებ. მოხსენებასა და დელეგატთა გამოსვლებში, მიღებულ რეზოლუციებში გამოვლინდა მტკიცე რწმენა, რომ სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული და გარდაქმნის უკვე არსებული გამოცდილებით გამდიდრებული შემოქმედებითი პროგრამა ინარჩუნებს უთუოდ თავის ძალას და მას მხარს უჭერს ხალხი, რომელმაც მიიღო გარდაქმნის პოლიტიკა და არ დაუშვებს მის უკუქცევას.

დიახ, კონფერენციაზე ვთქვა მრავალი კრიტიკული შენიშვნაც, მათ შორის პარტიული ორგანოების მიმართ, ამასთან გამორიცხული არ იყო უმაღლესი ეშელონებიც, ცალკეულ მუშაკთა მიმართ. უფრო მეტიც, თითოეულს შეუძლია დარწმუნდეს პრეზიუმი გამოკვეთნებული კონფერენციის მასალებიდან: გაშლილი დისკუსიის მუხტითა და სიმწვავით ჩვენში არაფერი მსგავსი არ ყოფილა თითქმის ექვსი ათწლეულის განმალლზე. მაგრამ ყველა „ელფერში", ყველა, ზოგჯერ პოლარულ მოსაზრებაში, არგუმენტში, წინადადებაში მგზნებარედ და მომთხოვნელად გაისმოდა ხურვილი ვზიდვადეთ ჩვენს პარტიას უფრო ძლიერსა და შეკავშირებულს.

კონფერენციამ მოგვიწოდა, რომ ჩვენი პარტია არა მარტო შინაარსით, არამედ საქმიანობის მეთოდებით ხრულად იყოს ლენინური ტიპის პარტია. რას ნიშნავს ეს? საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა იმას, რომ საუფალოდ ჩამაღიდეს წარსულს მბრძანებლურ-შემოქმედებითი მეთოდები, რომ პარტიის პოლიტიკა ხორციელდებოდეს მხოლოდ ორგანიზაციორული, საკადრო, იდეოლოგიური მუშაობის მეშვეობით, ამასთან უმკაცრესად იყოს დაცული კანონები და საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიული პრინციპები.

ეს ნიშნავს აგრეთვე, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა და მათმა კომიტეტებმა გადაჭრით უნდა მოიღონ ბოლო ხახელმწიფო ორგანოების მაგიერობისა და ფუხლიერების პრაქტიკას, დაეტოტ პროფკავშირებს, კომკავშირისა და სხვა ხაზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი, შემოქმედებითი კავშირებისადმი. ამაო ზოგიერთის შიში, თითქოს ახეთ ვითარებაში პარტიის ხელმძღვანელი როლი შეიძლება შეუსუდეს. არა! პარტიას, როგორც მმართველს, როგორც კონფერენციაზე თქვა, რჩება ყველა საჭირო ბერკეტი თავისი ხელმძღვანელი როლის განხორციელებისათვის. მათგან მთავარია 20 მილიონი კომუნისტი, რომელთა მეშვეობით პარტიამ უნდა განახორციელოს თავისი პოლიტიკური კურსი ხაზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში.

კონფერენციაზე ხაქვეულად თქვა, რომ გადაწყვეტილი ვკავეს განვაგრძოთ და გავაღრმოთ რადიკალური ეკონომიკური რეფორმა. მისი წარმძღვარები შექმნილია ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, ხახელმწიფო ხაწარმოს და კოოპერაციის შესახებ კანონები. ამავე დროს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მრავალი მიმართულებით რეფორმა ჯერ-ჯერობით ბუქსაობს, რომ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგობა ჯერ მთლიანად არ არის დაძლეული და, მაშასადამე, საფუძველანდ უნდა მოგაკოთო ხელი იმას, რომ ბოლომდე მივიყვანოთ დამუხრუჭების მექანიზმის დემონტაჟის ხაშუშაფი, მთელი ძალონე მოვაბმართ ენერგიულ წინსვლას.

კიდევ ერთი მტკივნეული წერტილი, რომელსაც კონფერენციაზე მრავალი დელეგატი შეეხო. ეს არის ქვეყანაში „ხასუროსათო პრობლემის გადაწყვეტა. პირველ პლანზე წამოწეულია ამოცანა ძალრითად ძალებს თავი მოვუყაროთ ამ უმნიშვნელოვანესი მიმართულებით. უკვე ახლა ამ სფეროს ხხვადასხვა არხით მოხმარდა დამატებითი კაპიტალდაბანდებანი და რესურსები, გამოიქნენია რეზერვები. საჭიროა ყოველივე ეს ნამდვილად ავითვისოთ, ხაქმეში გამოვიყენოთ. ყოველნაირი დახმარება გეწიაკაცობას, სოფლის ალმავლობა დღეს ჩვენი უპირველესი მოვალეობა ხდება. აქ ბევრი რამ შეგვიძლია გავაკეთოთ და კიდევ უნდა გავაკეთოთ გადაუდებლად, უკვე მიმდინარე ხუთწლედში.

თანამედროვე ეტაპზე, ყველა ხაზოგადოებრივ პროცესზე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის უდიდესი გავლენის პირობებში ეერავითარ პრობლემას ვერ გადავჭრით ხალხის ინტელექტუალური და მორალური პოტენციალის გარეშე. შემთხვევითი რიდი იყო, რომ პოლიტიკისა და ეკონომიკის ყველაზე. ხაარხეთ ხაკითხები კონფერენციაზე განხილებოდა ხულიერ სფეროსთან მჭიდრო კავშირით, მათ პოვეს თავისებური ზნეობრივი ხაწყაო, ინსაბებოდა მეცნიერების, განათლების, კულტურის პრობლემებში. ხხვადასხვა თვალსაზრისის მრავალფეროვნებით, ზოგჯერ კი შეტაკებით გამოვლინდა ხულიერი მონოძოლიის ის უარმყოფელი აზრთა სოციალისტური პლურალიზმი, რომელსაც პარტია ამკვიდრებს ჩვენს ხაზოგადოებრივ ცხოვრებაში, პლურალიზმი რომლის ამოსავალი წერტილია ადამიანი, ხალხის ინტერესები, მთავარი მიზანი კი სოციალიზმის ჰუმანისტურ ღირებულებათა ჩამოყალიბება, ხაზოგადოებაში წმინდა ზნეობრივი ატმოსფეროს უზრუნველყოფა.

ამასთან დაკავშირებით, ცხადია, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ხაკარობის ხაკითხსაც, ცხოვრება გვასწავლის: რაც უფრო მეტია ნიმარილი, მით უფრო მეტია პარტიის მიერ დაწყებული ხაქმის, მისი მიზნებისა და იდეალების რწმენა. ხაკარობის გარეშე არ არის დემოკრატია, არ არის სოციალიზმი. ჩვენმა მახარობენი ინფორმაციის ხაშუალებებმა კიდევ უფრო ენერგიულად უნდა ზარმართონ მუშაობა ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების ალმოფხვრისათვის, გამოცდილების ცოცხალი ყლორტების, ბაგედული, არაორდინარული მიდგომებისა და ადამიანების — გარდაქმნის ნამდვილი გმირების მხარდაჭერისათვის. ამავე დროს გარდაქმნა გულისხმობს დიდ პასუხისმგებლობასაც. იგი შეუთავსებელია ჭეშფუფრობასთან, ფაქტების დამახინჯებასთან და პ

„სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის რეზოლუციის

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობისა და გარდაქმნის გაღრმავების ამოცანათა შესახებ

(დასასრული)

გაუმჯობესება, მისი უზრუნველყოფა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. აგრარული პოლიტიკის არსი ის არის, რომ ადადგინოს ქალაქსა და სოფელს შორის სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობა, შეცვალოს საწარმოო ურთიერთობა თვით სოფლის მეურნეობაში.

მეურნეობრიობის ახალი მექანიზმის შესაძლებლობათა გამოყენებისას უნდა დავეყრდნოთ ბაზრის უნდად უზრუნველყოფა სხვადასხვაგვარი საქონლითა და მომსახურებით, ყველგან გავშალოთ შეჯობნა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გასაზრდელად. საჭიროა მსგბუქი მრეწველობისა და სხვა დარგების ძირეული ტექნიკური განახლება, „რომლებიც უშვებენ მასობრივი მოთხოვნის საქონელს. ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ადგილობრივი რესურსები, კოოპერაციული მოძრაობისა და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესაძლებლობანი. უნდა გავზარდოთ ადგილობრივი საბჭოების, შრომითი კოლექტივების დაინტერესება საქონლის წარმოების ზრდით რეგიონის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებლად.

კონფერენცია იწონებს მიღებულ ღონისძიებებს სახიანო მშენებლობის მოეცლობებს, ტემპის ტკვეთი ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის იმ მიზნით, რომ შესრულდეს სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანა — 2000 წლისათვის პრაქტიკულად თითოეული ოჯახი უზრუნველყოთ ცალკე ბინით ან სახლით. აღნიშნა რა, რომ სახელმწიფო კოოპერაციული და ინდივიდუალური სახიანო მშენებლობის მასშტაბის გაფართოებას, ამ საქმეში შრომითი კოლექტივების, ადგილობრივი საბჭოების ინიციატივის აფერხებს სამშენებლო ინდუსტრიის სისუსტე და უწერნარსად საწენი მასალების ნაკლებობა, სპეციალური მანქანებისა და მოწყობილობის მწვავე დეფიციტი, კონფერენცია მოითხოვს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობის ორგანოებმა დაუყოვნებელივ გადაჭრან ეს საკითხები.

ამავე დროს გულმოდგინედ უნდა დავამუშაოთ და გადაკეთათ სათანადო მდგომარეობაში სახიანო ფონდის შენარჩუნებასთან, ბინების განაწილებისა და საცხოვრებლის საფასურის გადახდაში სამართლიანი წესრიგის დამყარებისადმი დემოკრატიული კონტროლის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები.

კონფერენციას უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნია ჯანმრთელობის დაცვისა და გარემოს დაცვის, ქვეყანაში ეკოლოგიური ვითარების გაუმჯობესებისათვის მიღებული პროგრამების უთუოდ შესრულება. ამ სფეროებში ყველა ღონისძიებას საფუძვლად უნდა დაედოს ადამიანთა ინტერესები, სოციალური ორიენტაცია, ხოლო მუშაობის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად გაიზარდოს ეკონომიკური სტიმულირებისა და თანამედროვე სამეცნიერო-საინჟინრო უზრუნველყოფის მეთოდების დანერგვის გზით.

მთელი სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკის ღერძი, კვლავწარმოების ტემპისა და პროპორციების ფორმირების ამოსავალი საფუძველი უნდა გახდეს სკკპ XXVII ყრილობის გეზი ეკონომიკის ზელაბალი სოციალური ორიენტაციისათვის. იგი განეკუთვნილად უკავშირდება ეკონომიკური ზრდის ახალ თვისებრივობას, წარმოების ყოველმხრივ ინტენსიფიკაციას, რესურსდაზოგვას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, მანქანათმშენებლობის რეკონსტრუქციას. ასეთმა მიდგომამ უნდა განსაზღვროს მეცადინეობ ნუთწლიდის კონკეფციაც.

ეკონომიკური რეფორმის განვითარებისა და გაღრმავებისას საჭიროა დაკანონდეს ახალი ეკონომიკური მექანიზმის ფორმირება, რეფორმის პრინციპები გავაცნოთ თითოეულ პირველად შრომის კოლექტივს, გავავრცელოთ ყოველ სამუშაო ადგილზე. მკვეთრად უნდა გავაძლიეროთ ადამიანთა დაინტერესება უმაღლესი საბოლოო შედეგებით, ბოლომდე დავძლიოთ გათანაბრება, უფრო გაბედულად და ყველგან ვიხელმძღვანელოთ შრომის ანაზღაურების პრინციპით მისი რაოდენობისა და განსაკუთრებით ხარისხის მიხედვით, არ დაეშვათ ისეთი მდგომარეობა, როცა შეიძლება ცუდად იმუშაო და უჯირველად იცხოვრო.

კონფერენცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყველა ეკონომიკური და სოციალური ამოცანის გადაჭრა შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს მხოლოდ საბჭოთა ადამიანების კეთილსინდისიერი და დიდნაყოფიერი შრომის საფუძველზე.

მიზანშეწონილად იქნეს მინეული, რომ ახლანდელი ხუთწლედის ფარგლებში განვახორციელოთ სამეურნეო შეკანონების დაბეგვრა, ცენტრში და ადგილებზე მართვის ორგანიზაციული სტრუქტურებისა და საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის სისტემის გარდაქმნა. დავაჩქაროთ წარმოების საშუალებათა სანდოუმო ეკრეობაზე გადასვლა, სახალხო მეურნეობის ფინანსური გაჯანსაღების პროგრამის განხორციელება, მათ შორის ბიუჯეტში, საფინანსო-საკრედიტო სისტემაში, ბანკების საქმიანობაში წესრიგის დამყარება. საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ განვახორციელოთ ფასწარმოქმნის რეფორმა, გადავსინჯოთ სამთითუმო, შესასყიდი და საცალო ფასები. საცალო ფასების რეფორმის დროს ვიხელმძღვანელოთ პრინციპით, რომ ფასების შეცვლამ არავითარი ზიანი არ უნდა მიაყენოს ხალხის ცხოვრების დონეს.

3. რევოლუციური გარდაქმნა შეუძლებელია საზოგადოების ინტელექტუალური, სულიერი პოტენციალის ყოველნაირი გაჯანსაღებლ, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესის გარეშე, მეცნიერთა და საინჟინრო კადრების სამეცნიერო-ტექნიკური წვლილის ზრდის, მათი პრესტიჟის ამაღლებისა და მუშაობის პირობების გაუმჯობესების გარეშე, განათლების მთელი სისტემის თანამედროვე დონისა და ხალხის ზოგადი და პოლიტიკური კულტურის ამაღლების გარეშე.

კონფერენცია ხაზს უსვამს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებათა ინტეგნიურ განვითარებას, ფუნდამენტალურ და გამოგონებათა პრაქტიკული ფინერგიის მწვავე პრობლემის გადაჭრას, წარმოებისათან მეცნიერების მუდმივ კავშირს. საჭიროა სამეცნიერო ცხოვრების ორგანიზაციის ახალი ფორმები. საარსებოდ საჭიროა ღრმა გარდაქმნა საზოგადოებრივ მეცნიერებებში, რომლებმაც ბოლომდე უნდა დაძლიონ დოგმატიზმი და ცხოვრებას მოწყვეტა. მათი მოვალეობაა შემოქმედებითად შეიმუშაონ სოციალიზმის განვითარების აქტუალური და პერსპექტიული საკითხები, მსოფლიო განვითარების პრობლემები, გაბარეონ პოლიტიკისათვის, საზოგადოებისათვის რეალური უკუგება.

კონფერენცია მხარს უჭერს მეცნიერებისა და კულტურის სფეროს შემდგომ დემოკრატიზაციას, ამ სფეროსათვის მატერიალური ბაზის განვითარებას, რაც შეესაბამება საზოგადოების გარდაქმნის მოთხოვნებს. მხარს უჭერს რა ძიებათა და ეჭვმპარიტების მხატვრული ჩაწვდომის მრავალფეროვნებას, მტოქვეობს, ნოვატორობასა და შემკვიდრეობითობას, პარტია იმედს ამყარებს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა აქტიურობაზე, თავდადებაზე და ხალხის წინაშე დიდ პასუხისმგებლობაზე.

კონფერენცია პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებს გარდაქმნის თეორიული არსებული ზრდას, იდეოლოგიური შეშობის განახლებას, რუტინისაგან, ყბედობისა და შაბლონებისაგან მის განთავისუფლებას, ცხოვრების რეალობებთან მისი შინაარსისა და ტონის შესაბამისობას, ყველა სანიტერესო საკითხზე ადამიანებთან პატიოსანი, პირდაპირი სჯა-ბაასის უნარს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მთელი ჩვენი საზოგადოების პასუხსაგები ამოცანაა ახალგაზრდა თაობის აღზრდა და განათლება. კონფერენცია მოითხოვს საშუალო და უმაღლესი სკოლის რეფორმის თანამიმდევრულ და დაჩქარებულ რეალიზაციას. ეს შეეხება მათი მატერიალური ბაზის განმტკიცებასაც და, რაც მთავარია, — მასწავლებლის, პედაგოგის, აღმზრდელის როლს. პარტიას გარდაქმნის აქტიურ და ინიციატიულ ძალად ახალგაზრდობა მიიჩნია. კონფერენციის აზრით, საჭიროა ზორციელდებოდეს ძლიერი, მოლიანი სახელმწიფო პოლიტიკა მოზარდი თაობის მმართი, რომელიც ქმნის ბიოლოგის ინსოფის, რომ ახალგაზრდობამ რაც შეიძლება ადრე მოიპოვოს დამოუკიდებლობა, მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი ნიჭი და ზორაკი შეასხას თავის სარსების მიზნებს, უკეთ იყოს მომზადებული ეი ინსოფისათვის, რომ დროზე იკისროს ეკონომიკური, პოლიტიკური და მორალური პასუხისმგებლობა ქვეყნის ბედისათვის, სოციალიზმის ბედისათვის.

კონფერენცია მხარს უჭერს კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური ტრადიციების სრულ აღდგენას, მისი ორგანიზაციული დამოუკიდებლობის, იმ უფლების დაცვას, რომ მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობასა და პოლიტიკის შემუშავებაში, იცავდეს ახალგაზრდობის ინტერესებს პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში. მთელი საზოგადოების წინაშე განსაკუთრებული პასუხისგებლობა ეკისრება კომკავშირის პიონერულ მოძრაობაში — მოქალაქეობრიობისა და ზნეობრიობის ამ პირველდაწყებითის სკოლაში თავისი შუშაობისათვის.

კონფერენცია ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ უფრო ენერგიულად უნდა წყდებოდეს პრობლემები, რომლებიც უშუალოდ ქალთა ინტერესებს ეეხება. ქალები ფართოდ უნდა იყვნენ წარმოდგენილ ხელმძღვანელ ორგანოებში თავიდან ბოლომდე. უნდა გაძლიერდეს მათი როლი საზოგადოებისა და პოლიტიკურ ცხოვრებაში, უნდა დაეცვათ და გაეფფრთხილდეთ დედის ავტორიტეტსა და უფლებებს, შეუქმნათ მათ პირობები თავიანთი მოვალეობების შესასრულებლად, გავაძლიეროთ ახალგაზრდა ოჯახებისათვის ზრუნვა.

4. კონფერენცია იწონებს მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ წინადადებებს პოლიტიკური სისტემის რეფორმის თაობაზე და მხარს უჭერს მჯის პრაქტიკულ რეალიზაციას.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციათა გამიჯვნას და საბჭოის სრულფასოვანობის აღდგენას თავიდან ბოლომდეი. სასამართლო სისტემისა და სხვა ინსტიტუტების რეფორმასთან ერთად, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოსა და მოქალაქეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივ მოწესრიგებას, საზოგადოების ყველა წევრის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და პირადი უფლებების დაცვას, ეს საბოლოო ანგარიშით მიზნად ისახავს სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის დამთავრებას, სადაც უმაღლესი პრინციპი იქნება ყველაფრისა და ყველას უოუთ დაქვემდებარება კანონისადმი.

კონფერენციას პოლიტიკური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უმნიშვნელოვანეს წანამძღვრად მიაჩნია საბოლოწიფოში უზენაესი ხელისუფლების გარდაქმნა, რაც ითვალისწინებს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა კონგრესების მოწვევას, რეგულარულ საფუძველზე ორპალატიანი უმაღლესი საბჭოს სამმართველა, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტის დაწესებას, მათ მიერ თავიანთი პროფესიონალური ფუნქციების გამოყენებას, ხელისუფლების ყველა უმაღლესი ეშელონის, მათ შორის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კოსტიტუციურად რეგლამენტირებულ თანამოქმედებას.

კონფერენცია მოითხოვს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და გაერთიანებათა — პროფესიონალურ, კომკავშირულ, ქალთა, ვეტერანთა და სხვების, შემოქმედებითი კავშირების საქმიანობის განახლებას გარდაქმნის სულისკვეთებით და მათი როლის მნიშვნელოვან გაძლიერებას პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაში, მთელი ხალხის საკეთილდღეოდ მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ინტერესების რეალიზაციასა და კოორდინაციაში.

5. კონფერენცია აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, რომელმაც რევოლუციური ინიციატივა გამოიჩინა, შეძლო ობიექტურად კრიტიკულად გაეანალიზებინა საზოგადოებისა და თვით პარტიის მდგომარეობა, დასახა გარდაქმნის პროგრამა, შეაკავშირა ხალხთა ფართო მასები მისი იდეების გარშემო, ორგანიზაცია გაუწია პრაქტიკულ მუშაობას საზოგადოებრივ ურთიერთობათა რევოლუციური გარდაქმნისათვის. ამრიგად, კომუნისტურმა პარტიამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ იგი საზოგადოების საპროგრამო მიზნების მატარებელია, გამოდის როგორც ხალხის ავანგარდი.

პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციათა გამიჯვნის პირობებში მთელი სისრულითა და თანამიდროვე პირობების გათვალისწინებით უნდა აღდგეს პარტიის, როგორც საზოგადოების ავანგარდის ლენინური კონცეფცია, ავანგარდისა, რომელიც, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე უზრუნველყოფს ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხების თეორიულ შემუშავებას, იღვწის გარდაქმნის იდეოლოგიის შესამუშავებლად და ამის მეოხებით, მასებში ორგანიზატორული მუშაობის შეოხებით, რომელსაც შთაგონებს და აღფრთოვანებს, სწორ, სოციალისტურ მიმართულებას ანიჭებს მთელი ჩვენი მრავალეროვანი საზოგადოების წინსვლას. პარტია ახორციელებს საკადრო პოლიტიკას, რითაც უზრუნველყოფს კადრების რაციონალურ განაწილებას გარდაქმნილი პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული მექანიზმის წყალობით. თავის პოლიტიკურ გეზს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უნდა ახორციელებდეს კომუნისტების მეშვეობით, რომლებიც საბჭოშიფო და სამეურნეო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და შრომითს კოლექტივებში მუშაობენ. პარტია მოქმედებს კონსტიტუციისა და საბჭოთა კანონების ფარგლებში.

ქვეყნისა და სოციალიზმისათვის უმნიშვნელოვანესი გარდაქმნის ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს პარტიის ხელმძღვანელი როლის გაძლიერებას და მის მიერ თავისი ამ როლის შესრულების შეფასების ახალ კრიტერიუმებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია აღარასოდეს აღარ დაუშვებს იმის მსგავსი რამის გამეორებას, რაც უკავშირდება პიროვნების კულტისა და უძრაობის პერიოდს, რომლებსაც გლობალური დეფორმაციები მოაყვა სოციალისტურ საზოგადოებაში, შეაყოვნა მისი განვითარება ზელა ეფექტურობის, გამოიწვია უზარმაზარი მსხვერპლი და აურაცხელი ზნეობრივი და იდეური დანაკარგები.

6. კონფერენცია იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო საქმიანობას, რომელსაც საფუძვლად უდევს ახალი პოლიტიკური აზროვნება, მსოფლიო პოლიტიკაში საბჭოთა კავშირის სამშვიდობო მისწრაფებათა ჩართვის ახალი მეთოდები. ადასტურებს, რომ მსოფლიო განვითარების წინააღმდეგობათა გადაჭრისა და კონფლიქტური სიტუაციების მოწესრიგებისადმი მხლოდ პოლიტიკური მიდგომა აძლევს სსრ კავშირს შესაძლებლობას ისტორიის მიერ მისთვის განკუთვნილი როლი შეასრულოს კაცობრიობის გადარჩენისა და მის შემდგომ პროგრესში.

ამ კონტექსტით კონფერენცია დადად იფასებს პრინციპულ გეზსა და განხორციელებულ პრაქტიკულ ღონისძიებებს სოციალისტურ ქვეყნებთან ინტერნაციონალური თანამეგობრობის განმტკიცებისათვის, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის, საერთა-ევროპული პროცესის გამოცოცხლებისათვის, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, ლათინურ ამერიკაში, იფრიკაში კავშირურთიერთობათა განვითარებისათვის, მოეშმრობლობის მოძღვრობასთან, სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებთან და მსოფლიო საზოგადოებრიობასთან ნაყოფიერი კონტაქტებისათვის. იწონებს მეცადინეობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აუტორიტეტის მხარდასაჭერად და ეროვნული შეიგებისა და არჩევის თავისუფლების პრინციპებზე რეგიონალური კონფლიქტების მოსაწესრიგებლად.

კონფერენციას მიაჩნია, რომ სწორია საბჭოთა ხელმძღვანელობის მიდგომა გულახდილი, კონსტრუქციული დიალოგისა და განიარაღების გზით ომის საერთხოს აღკვეთის პრობლემებისადმი, რამაც გზა გაუხსნა საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების შესახებ ხელშეკრულების დადებას, ბირთვული, ქიმიური და ჩვეულებრივი იარაღის თაობაზე მოლაპარაკების პრაქტიკულ სიბრტყეში გადაყვანას.

კონფერენცია მთლიანად იწონებს გადაწყვეტილებას ავღანეთიდან ჯარების გამოყვანის შესახებ, რასაც საფუძვლად უდევს ქვეყნის შეთანხმებანი და ჩვენს ამ მეზობელთან, ნეიტრალურ, მეუმხრობელ სახელმწიფოსთან ურთიერთობა.

საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობას სულ უფრო მეტი წვლილი უნდა შეეტანოს ადამიანთა მშენებლობისათვის, გარდაქმნისათვის ქვეყნის რესურსების გამოთავისუფლებაში და მეჭიდროდ უკავშირებოდეს საზოგადოების დემოკრატიზაციას. კერძოდ, გადაწყვეტილებათა შემუშავებისა და მათი შესრულებისადმი კონტროლის პროცესს.

მთელი თავდაცვითი მშენებლობა ამიერიდან ორიენტირებული უნდა იყოს უბრალესად ხარისხობრივ პარამეტრებზე — როგორც ტექნიკის, სამხედრო მეცნიერების მიმართ, ისე შეიარაღებული ძალების შემადგენლობის მიმართ. უზრუნველყოფს რა საბჭოთა სახელმწიფოსა და მისი მოკავშირეების საიმედო უშიშრობას, იგი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს ჩვენს თავდაცვითს დოქტრინას.

გარდაქმნა საჭიროა საგარეო პოლიტიკაში, რომელიც ადეკვატურად ასახავს მის პუმანისტურ არსს, რომელიც ფართო ბოლს უხსნის საბჭოთა საზოგადოებას გარეშო სამყაროსთან ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისა და მრავალფეროვანი დემოკრატიული კავშირ-ურთიერთობისათვის.

კონფერენცია ადასტურებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კურსს, რომლის მიზანია უეცელად სოლიდარობდნენ კომუნისტური და მუშათა პარტიები, მთელი საზოგადოებრივი ძალების ბრძოლას მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის, თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის.

7. ვამოხატავს რა კომუნისტთა 20-მილიონნიანი არმიის ნებას, საბჭოთა ხალხს ძირეულ ინტერესებს, კონფერენცია აცხადებს, რომ პარტია მტკიცედ და მიზანსწრაფულად გაორძელებს რევოლუციური განახლების პროცესს, უზრუნველყოფს მის შეუქცევადობას, ყველფერს იღონებს მისი მიზნების მისაღწევად.

კონფერენცია მოუწოდებს ყველა პარტორგანიზაციას, ყველა კომუნისტსა და უპარტიოს კიდევ უფრო აქტიურად ჩაებას საზოგადოების განახლების პროცესებში, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება სამშობლოს ბედისათვის.

8. კონფერენციას საჭიროდ მიაჩნია, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა უზრუნველყოს ყველა იმ კონკრეტული წინადადებისა და თხოვნის განხილვა, რომლებიც კონფერენციის დელეგატებმა გამოთქვეს მათი ამრჩევი კომუნისტების სახელით, აგრეთვე კოლექტიურ და ინდივიდუალურ მმართველებში ჩამოყალიბებული იმ წინადადებებისა და საკითხების განხილვა, რომლებიც კონფერენციას გამოუგზავნეს თეზისების განხილვის დროს, და განხილული შედეგები აცნობის მათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

საკავშირო გაზეთების ფურცლებზე

XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის პრესცენტრში

პირველი პრესკონფერენცია, რომელიც XIX საკავშირო პარტკონფერენციის პრესცენტრში გაიმართა 28 ივნისს, ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას მიეძღვნა. „პარტიისა და საზოგადოების დემოკრატიზაცია გარდაქმნის უმთავრესი ჩაგული" — ასეთი იყო მისი თემა. მასში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე ი. ბ. �ლიაროვი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ბ. ლ. სმირნოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ნ. პატიაშვილი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ვ. ნ. კუდრიავცევი, გაზეთ „იზვესტიის" მთავარი რედაქტორი ი. დ. ლაპტევი. მათ უპასუხეს საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტების მრავალ კითხვას.

კითხვა. არის თუ არა იმის წინამძღვრები, რომ სსრ კავშირში შეიქმნას მრავალპარტიული სისტემა?

სმირნოვი: პირადად ჩემი აზრი ისეთია, რომ ჩვენში ახლა არ არის ეს ეორე ან მესამე პარტიის შექმნის წანამძღვრები.

კითხვა. რატომ გგონიათ, რომ ეს პირობები ახლა არ არის და მომავალში არ წარმოიშობა?

სმირნოვი: ჩემი პირადი დაკვირვებების საფუძველზე, ახლა ეს საჭირო არ არის. რაც შეეხება მომავალს, ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი, როგორც იტყვიან, დრო გვიჩვენებს.

კითხვა. რატომ ალაპარაკდენენ სსრ კავშირში ეროვნულ საკითხზე? როგორია თქვენი ვარაუდი მთიან ყარაბაღში კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე?

პატიაშვილი. წინათ მართლაც ცდილობდნენ ამ საკითხს არ შეეხებოდნენ და თავი ისე ეჭირათ, თითქოს აქ არავითარი პრობლემები არ ყოფილიყოს. ამტომ ახლა ეროვნულ საკითხს ღრმად ვსწავლობთ და ვაანალიზებთ.

